№2525 2015 წლის 20 ნოემბერი ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ - თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ - თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრმა, სსიპ - ქ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის საზეიმო გახსნის ღონისძიების განხორციელებისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები 649 374 (ექვსას ორმოცდაცხრა ათას სამას სამოცდათოთხმეტი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების

თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების პირველ პუნქტში გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან (649 374 (ექვსას ორმოცდაცხრა ათას სამას სამოცდათოთხმეტი) ლარი) დაკავშირებით გასაფორმებელი ხელშეკრულების მიმართ არ გავრცელდეს ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით, მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**